ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №304

2020 წლის 1 ოქტომბერი


ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №198 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №198 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს ჩანაწერი სათაურში „შალვა დოლიძე“ შალვა ლოლაძით, ა) პუნქტში ჩანაწერი „შალვა დოლიძე“ შალვა ლოლაძით და დანართი (რუკა).

1. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



X=495804 Y=4615102